რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 21 მარტი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 7 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 6 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 6

# დიდი რევოლუცია.

## სადღეისო ლოზუნგები

მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში!

გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლიუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში!

მიესალმეთ პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომელიც უმთავრესი ბურჯია რევოლიუციის და საუკეთესო დარაჯი დემოკრატიის ინტერესების. მიესალმეთ აგრეთვე ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაც.

აცნობეთ მთავრობას, რომ საჭიროა დაუყონებლივ:

1. გამოიცვალოს ძველი რეჟიმის მთელი ადმინისტრაცია და ის გაგზავნილ იქმნას ფრონტზე.

2. განხორციელდეს სრული თავისუფლება კრების, სიტყვის, კავშირების და ორგანიზაციების.

3. დამყარდეს ეროვნებათა თანასწორობა.

4. დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლათ და ომის და ზავის საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ სქესისა.

დაიცავით ყოველგან ქალაქებში და სოფლებში სრული წესიერება, შეებრძოლეთ ყოველგვარ ძალადობას და კერძო საკუთრების მითვისებას.

მხოლოდ საერთო ძალღონით და მწყობრი მოქმედებით ყველა ოპოზიციურ და დემოკრატიულ კლასებისა განმტკიცდება დაწყებული დიადი რევოლიუცია.

საჭიროა ქალაქებში დაარსდეს მუშათა დეპუტატების საბჭო და მოქალაქეთა აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც მიზნათ დაისახვენ რეაქციის საბოლოო დატუქსვას და წესიერების დაცვას.

სოფლათ უნდა მოეწყოს გლეხთა სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო დეპუტატთა საბჭოები, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტები.

## მუშათა დეპუტატების

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო

მოთავსებულია ყოფილ მეფის მოადგილის სასახლეში. ბიურო ღიაა დილის 10—3 საათამდე, საღამოს 5—9 საათამდე.

## გერმანია და ზავი.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ გერმანიის მართველი წრეები ზავის სასარგებლოთ აალაპარაკა. თავისთავათ საგულისხმოა, რომ რუსეთის მონარქიულ წყობილების დამხობას თავისებური ზედგავლენა გერმანიის ურა-იმპერიალისტებზედაც უნდა მოეხდინა.

გაქრა ის საერთო საგარეო პირობები, რომელიც გერმანიის ბურჟუაზიას და აგრარიებს საშვალებას აძლევდა დაპყრობითი პოლიტიკა ეწარმოებინათ, განსაკუთრებით რუსეთის წინააღმდეგ.

ამიტომაც იყო გერმანიის კანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა რეიხსტაგში ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს რუსეთის რევოლიუციის შესახებ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ნიკოლოზ მეორის სახით გერმანიამ უკანასკნელი მომხრე დაჰკარგა. რუსეთის სამხედრო პარტიამ ხელში ჩაიგდო მართვა-გამგეობა და ომის გაგრძელებას ცდილობენ. გერმანიის ხალხი არას დროს არ უჭერდა მხარს რუსეთის რეაქციას, ამისთანა ხმებს მხოლოდ გერმანიის მტრები ავრცელებენ. საზიზღარი ცილისწამებაა, თითქოს გერმანიას სურდეს რუსეთის ხალხის მიერ მოპოვებული თავისუფლების მოსპობა. ერთად-ერთი, რასაც ჩვენ ვეტრფით — ესაა განახლებული რუსეთის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, რომელიც საუკეთესო თავდები იქნება მშვიდობიანობის დაცვისა და ორი ხალხის ერთმანეთთან დაახლოვებისა. ჩვენი სურვილია რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ორივე მხარესათვის მისაღები საპატიო ზავი".

დიახ, გერმანიის ურაპატრიოტები, სხვა ჰანგზე ალაპარაკდენ. აშკარა შეიქნა, რომ გერმანიის „ჯავშნიანი მუშტი" ამჟამათ სუსტია და აი საპატიო ზავის ჩამოგდებას ესარჩლებიან. რუსეთის რევოლიუციამ უპირველესათ გერმანია-ავსტრიის სოციალ დემოკრატია აამოქმედა. გადაჭრით შინაურ რეფორმებს ითხოვენ. იმპერიალისტები აშკარათ ხედავენ, რომ მათ ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება და ამიტომაც საპატიო ზავის ჩამოგდებას ცდილობენ. რუსეთის მუშათა კლასი გერმანია ავსტრიის სოციალ-დემოკრატებს მედგრად მოუწოდებენ ჰოენცოლერნებისა და ჰაბსბურგის დინასტია ტახტიდან გადააყენონ და რესპუბლიკანური დროშა ააფრიალონ, რაც საუკეთესო თავდები იქნება ევროპისა და საზოგადოთ მთელი ქვეყნის საკაცობრიო მშვიდობიანობისა.

რუსეთის რევოლიუციონური ხალხის გამარჯვება გერმანიის ძლიერეს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც ამოძრავებს და ევროპაში მონარქიულ წყობილებას სავსებით აღმოფხვრას უქადის. გერმანიის დემოკრატია ახლა მედგრათ დაუბრუნდება სამშვიდობო ლოზუნგებს. მართლაც რეიხსტაგის უკანასკნელ კრებაზე მთელმა სოციალ დემოკრატიულმა ფრაქციამ ხმა მისცა ბიუჯეტის წინააღმდეგ. მოხდა ის, რაც აუცილებელი იყო. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ომის გაგრძელების წინააღმდეგ სასტიკ პროტესტს აცხადებს. რეიხსტაგში მომხდარ ანტი-იმპერიალისტურ ნაბიჯს უეჭველია მთელი დემოკრატიის ამოძრავება მოყვება და ამიტომაც გერმანიის გაბატონებულ წრეებს აქედანვე თავზარი ეცემათ. იმპერიალიზმს ფრთა ეკვეცება. დემოკრატიის საერთო გამოსვლას ფართო ასპარეზი ეხსნება.

## რევოლიუცია და ჯარი.

რევოლიუციის ყველა მონაწილე წრეები თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ეტრფიან. ეს ასედაც უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი ხელსაყრელი მომენტი რასაკვირველია იშვიათია.

ჯარმაც თავისი მოთხოვნილებანი წამოაყენა და რამოდენიმეთ მიზანს უკვე მიაღწია. აფიცრებსა და ჯარისკაცებს უფლება ეძლევა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ პარტიებში აქტიურათ მონაწილეობა მიიღონ. ისინი სრულ უფლებიან მოქალაქეებათ გამოაცხადეს. გარდა ამისა დღიურ წეს რიგში სამხედრო წყობილების დემოკრატიზაცია ისმება. აფიცერთა ბატონობას ბოლო მოეღო. ჯარისკაცთა უფლებებს დღითიდღე აფართოებენ.

ჯერი კაზაკებზე მიდგა. იყო დრო, როცა კაზაკთა რაზმები თავისუფლებას თავ-გამოდებით იცავდენ. ეს იყო მე16-ე—მე-17 ე საუკუნეებში. კაზაკობა ვერ ურიგდებოდა ბატონყმურ უღელს და მდ. დნეპრისაკენ მიეშურებოდა, რომ უკრაინის მიდამოებში იარაღით ხელში თავისუფლება დაეცვა. მარა მოს[illegible] სამეფო მოძლიერდა. თვითმპყრობელმა ძალ-ღონე მოიკრიფა და თავისუფლების მოტრფიალენი დაიმორჩილა. მრავალი შეღავათებით კაზაკები თავის მხარეზე გადაიბირეს და ხალხის წინააღმდეგ მიმართეს. განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრეს მტრათ მუდამ კაზაკობა გამოდიოდა.

ომმა ყველაფერი ძირიანად შეარყია და აზროვნობაში რევოლიუცია მოახდინა. ამიტომაც პეტროგრადის ამბებში აქტიური მონაწილეობა კაზაკებმაც მიიღეს. რევოლიუციონურ მუშათა კლასს გვერდში კაზაკთა ნაწილებიც ამოუდგენ. ხალხსა და ჯარს შორის კავშირი ამხანათ განმტკიცდა.

ახალი წყობილების დამყარება აუცილებლათ კაზაკთა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც გვიკარნახებს. კაზაკები მრავალი პრივილეგიებით სარგებლობდენ. მიუხედავათ ამისა კაზაკთა დიდ უმრავლესობას უდიერათ ძარცვავდენ. მთელი ჯარის ბედ-იღბალს ერთი მუჭა გენერლები და საერთოთ უმაღლესი სამხედრო პირები განაგებდენ. მათ ხელში იყო კაზაკთა ადგილ-მამული და განსაკუთრებული თანხა, რომელიც რამოდენიმე მილიონ მანეთს უდრიდა.

ახალ დემოკრატიულ წყობილებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პრივილეგიებს. ეჭვს გარეშეა კაზაკთა უმაღლესი სამხედრო პირები დღემდის რეაქციის მთავარ ბურჯს წარმოადგენდენ. მით უფრო დროს შესაფერია მათი პრივილეგიების მოსპობა და კაზაკთა ჯარის დემოკრატიზაცია. დროებითი რევოლიუციონური მთავრობა საქმეს უკვე შეუდგა.

აქ პირველ რიგში დგას კაზაკთა თვითმართველობის ახალ საფუძველზე აგება. ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობას ბოლო ეღება. კაზაკს უფლება ეძლევა წარმომადგენლები აირჩიონ და მათ თავის საქმეების მოწესრიგება მიანდონ. შესაფერი კანონპროექტი საბოლოო დასამტკიცებლათ დამფუძნებელ კრებას წარედგინება. ამით კაზაკთა არისტოკრატია აილაგმება, ხოლო დემოკრატია წელში გაიმართება.

რეაქცია კაზაკებს თავისი მიზნისათვის იყენებდა, ხალხმა კაზაკთა ჯარის დემოკრატიზაციით რეაქციის წესეში საბოლოოთ უნდა ალაგმოს და რევოლიუციას ახალი მოკავშირე შესძინოს.

## სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამნისტია.

პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას, რომელიც ამას წინეთ გამოცხადდა, უბრალო დამნაშავეთა ამნისტიაც მოჰყვა.

ძველი მთავრობაც იძულებული ხდებოდა ხოლმე დასჯილთა ნაწილი ციხეებიდან გაეშვა, რათა ამ გზით ცოტათი მაინც დაემშვიდებია აღელვებული საზოგადოება. თავის ასეთს მოქმედებას ძველი მთავრობა წყალობის ხასიათს აძლევდა, ვითომდა ძველი ცოდვების დავიწყებას ახდენდა. ასეთი იყო ამნისტია ძველი წყობილების დროს.

დღევანდელ ამნისტიას სულ სხვა შინაარსი და ხასიათი აქვს.

პირველ ყოვლისა შეუძლებელი იყო არ გაენთავისუფლებიათ ყველა ისინი, ვინც ძველ მთავრობასთან ბრძოლისთვის იქნა დასჯილი. ასეთებია პოლიტიკური ტუსაღები, ე. ი. ისინი, რომელნიც ხელმძღვანელობდენ არა პირადი ანგარიშებით, არამედ საზოგადოებრივ ცოცხალ ჯგუფების სასარგებლოთ, შეიძლება ითქვას ხალხის უმრავლესობისთვის.

მაგრამ არის მეორე კატეგორია დამნაშავეთა—ეგრეთწოდებული სისხლის სამართლის დამნაშავენი ან როგორც რუსულათ ამბობენ, „უგოლოვნები". ამ უკანასკნელთ ახასიათებს პირადის ინტერესებისთვის მოქმედება. ასეთი დამნაშავეებია, მაგალითად, ქურდები, მტაცებლები, კაცისმკვლელები და სხვ. რასაკვირველია, ბევრი ამ კატეგორიის დანაშაული ძველი წყობილების ნიადაგზეა აღმოცენებული, სოციალურ უსამართლობით არის გამოწვეული. ასეთია მთელი რიგი დანაშაულთა, რომელნიც ქონებრივ უფლებების დარღვევაში გამოიხატება. მიეცით ყველას მიწა და [illegible] ტყის [illegible], [illegible] მიპარვას, საძნეების დანგრევას და სხვ. მიეცით ყველას შრომის იარაღები და ჩქარა მოისპობა სხვადასხვაგვარი ქურდობა. მოსპეთ ქონებრივი უთანასწორობა და გაქრება დიდი ნაწილი ეგრეწოდებულ რომანიულ დანაშაულთა...

ამიტომ ახალი მთავრობის ნაბიჯი სისხლის სამართლის დამნაშავეთა სასჯელის შემსუბუქების საქმეში ერთობ ბრძნული და კაცთმოყვარული ზომაა, რადგან შებრალების ღირსია ყველა ის, ვინც სოციალურ უთანასწორობის მსხვერპლი გახდა. ახალი მთავრობა მოწოდებულია ბევრი სოციალური უსამართლობა მოსპოს, მან უნდა დაამყაროს ისეთი წყობილება, რომ დამნაშავემ ვერ იპოვოს საბუთი თავის დანაშაულის ზნეობრივ გამართლებისთვის. მართლაც, რა აღზრდას იძლეოდა ძველი მთავრობა? ძველი მთავრობის მოხელენი არად აგდებდენ ადამიანის პიროვნებას,—ცემა-ტყეპა, მოკვლა და სხვა.—აი მთავრობის მოხელეთა სისტემა. როგორ დააჯერებდი ამის შემდეგ შეუგნებელ ადამიანს, რომ კაცის მოკვლა დასაშვები არ არის? მთავრობის მოხელენი აშკარათ იტაცებდენ ხალხის ქონებას და დაუსჯელი რჩებოდენ—რითი დაარწმუნებდით განუვითარებელ ადამიანებს, რომ სხვისი ქონების მოტაცება ცუდია?

გარდა ამისა ძველი მთავრობა სრულიად არ ცდილობდა დამნაშავის გასწორებას; პირიქით: შემთხვევით დამნაშავეს ის ისეთ პირობებში აყენებდა, რომ ეს შემთხვევითი დამნაშავე ციხიდან გამოსვლის შემდეგ დახელოვნებული ავაზაკი ხდებოდა. ყოველივე ამას ბოლო ეღება. ძველ მოხელე მოსამართლეთაგან დასჯილთ სასჯელს უმსუბუქებენ, ახალი ცხოვრების დაწყებას უადვილებენ, რომ შეიძლებოდეს ისე, რომ ყურისგდება მოსახერხებელი იყოს—ყველა დამნაშავეებს გამოუშვებდენ, მაგრამ ახალ მთავრობას საფუძვლიანათ ეშინია—ვაი თუ იმ დამნაშავეებმა, რომელნიც ერთობ დაშორებიან ცხოვრების სწორ გზას, საზოგადოებრივი მყუდროება განსაცდელში ჩააგდონ და ამიტომ სასჯელის შემსუბუქება თანდათანობით ხდება. ასე მაგალითათ: 1) თხუთმეტი წლით მაღნებში მუშაობა დაენიშნათ იმათ, რომელთაც სიკვდილით დასჯა ქონდათ გადაწყვეტილი, ან ჯერ გასამართლებული არ არ არიან, მაგრამ ისეთი დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომლისთვისაც სიკვდილით დასჯა ეკუთვნით.

2. სულ უნდა განთავისუფლდენ სასჯელისაგან—ვისაც მისჯილი აქვს სასჯელი არა უდიდეს ციხისა ან არა უმეტეს გამასწორებელი რაზმისა, თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ღირსებაც არ აქვს აყრილი. თავისუფლდებიან აგრეთვე ისინი, ვინც სალდათობას ემალებოდა, თუ გამოცხადდებიან არა უგვიანეს პირველ მაისისა და აგრეთვე ის უქმრო

დედაკაცები, რომლებიც დამნაშავენი არიან იმაში, რომ სირცხვილით ან შიშით მოუკლავთ ახალი დაბადებული თავიანთი შვილები (1451 მ. 2 ნაწ.).

3. უვადო კატორღა ეცვლებათ 12 წლის კატორღით, ხოლო იმათ, ვისაც მისჯილი ქონდა კატორღა ან გამასწორებელი რაზი ღირსების აყრით, სასჯელი უმსუბუქდება ნახევრათ.

4. ისინი, ვინც ბრძოლის ველზე წავლენ, სასჯელისაგან თავისუფლდებიან და ღირსებაც უბრუნდებათ თუ კარგი ყოფა ქცევის მოწმობას წარადგენენ.

5. უწლოვანები, რომელთაც კატორღა აქვთ მისჯილი, კატორღიდან თავისუფლდებიან და პირდაპირ გადასახლებული იქნებიან.

6. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალი მთავრობის დადგენილებით ისპობა ყველა ის შევიწროვება და სასჯელი, რომელიც მხოლოდ დასჯილთა პირადობის დამცირებას შეიცავდა და ტუსაღის გაბოროტებას ხელს უწყობდა. ისპობა სხვათა შორის „როზგი“, ბორკილები და სხვ.

ერთ რამეს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ: ციხეებიდან გამოვა დიდი რიცხვი ქურდებისა და სხვა ბოროტების ჩამდენთა და თუ ესენი რიგიან პირობებში არ ჩავაყენეთ— კვლავ განაგრძობენ თავიანთ ხელობას. ამიტომ ქალაქის და სოფლის თვითმართველობები უნდა ეცადნენ დახმარება გაუწიონ ფულით თუ სამუშაოს მიცემით ციხიდან ახალ გამოსულთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქეთილი საქმე შეიძლება ბოროტებით დამთავრდეს.

# დეპეშები

### ფინლიანდიის სენატის განცხადება

**ჰელსინგფორსი.** 16 მარტი. ფინლიანდიის ახალი სენატის შემადგენლობა თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა და პირველ დღესვე შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: ვინაიდან ფინლიანდიის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაში ახალი ხანა დაიწყო, უნდა მივიღოთ ზომები ფინლიანდიის შინაური თავისუფლების უზრუნველსაყოფათ და კონსტიტუციის გასანვითარებლათ. აუცილებლათ საჭიროა საზოგადოებრივი და ეკონომიური ხასიათის რეფორმების მოხდენა. ასეთი ხასიათისაა სეიმის მიერ გამოცემული კანონი, რომელიც ეხება მუშათა დაზღვევის საკითხს უბედური შემთხვევების დროს და სხვას, როგორიც არის სასურსათო საკითხის მოწესრიგება, მიწის იჯარა, დაზღვევა ავათმყოფობის, სიბერის და შრომის შეუძლებლობის გამო, საყოველთაო სწავლა-განათლება, სინდისის თავისუფლება, სასოფლო მეურნეობის განვითარება და სახელმწიფოს ნივთიერათ გაღონიერება.

### გადაყენება.

**პეტროგრადი.** 17 მარტი. დროებითი მთავრობის კანცელარიიდან რევოლიუციონურ მთავრობის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს დირექტორი და მმართველი პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტოსი—ილია გურლიანდი და ამავე სააგენტოს დირექტორი ავგუსტ გელფერი. მათ ადგილზე დანიშნეს: ალექსანდრე ლოვიაგინი და ლევ ნემანოვი.

### გერმანიის რეიხსტაგი და რუსეთის რევოლიუცია.

**სტოკჰოლმი.** 17 მარტი. ბერლინიდან შემდეგს იტყობინებიან: რეიხსტაგმა არაჩვეულებრივი ხარჯთაღრიცხვა მიიღო; სოციალისტებმა ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ომის შემდეგ სოციალისტების ასეთი გაერთიანებული გამოსვლა პირველი მაგალითია.

ამავე დღეს პირველათ ჩამოვარდა ლაპარაკი რუსეთის რევოლიუციაზე. სოციალისტ ბერნშტეინმა სთქვა: ფაქტები გვიმტკიცებენ, რომ გერმანიის მთავრობას ყველა უნდობლობის თვალით უყურებს. პარტია ხარჯთაღრიცხვის წინააღმდეგ მისცემს ხმას. რადგანაც ყველა ნეიტრალური ქვეყნები გერმანიის მთავრობას უნდობლობის თვალით უყურებენ, ამიტომ გერმანიამ საჩქაროთ უნდა ჩამოაგდოს საპატიო ზავი ყველასთვის მისაღებ პირობებში. რუსეთის რევოლიუცია სოციალდემოკრატების მეოხებით და მეთაურობით მოხდა. ეს გარემოება ამაგრებს ჩვენ რწმენას, რომ სოც. დემოკრატია შესძლებს განახორციელოს თავისი სამშვიდობო პოლიტიკა. სოციალისტ ნოსკემ განაცხადა: გერმანია ისეთი ქვეყანაა, სადაც მუშათა ორგანიზაციები ყველაზე უფრო ძლიერია. ეს ორგანიზაციები ყოველთვის ხელმძღვანელობდენ სოციალისტური პოლიტიკის პრინციპებით. სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელსაც პრუსიის იუნკრები აწარმოებენ, აღარ შეიძლება გაგძელდეს. გერმანიის სოც.-დემოკრ. წინადადებას აძლევენ გარეშე ქვეყნებიდან, რომ მან რევოლიუცია მოახდინოს. ჩვენ რომ ამ რჩევას დაუჯეროთ, მუშათა კლასს დიდი უბედურება ეწევა. ჩვენ თვითონ ვიცით, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რას უნდა მოვუცადოთ. პროგრესისტ მიულლერ მეინინგენმა რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ გაილაშქრა. ნაციონალ-ლიბერალმა შტრეზემანმა განაცხადა: ფაქტათ უნდა ჩავთვალოთ ის, რომ რუსეთში სამეფო ტახტის აღდგენა აღარ შეიძლება. გერმანიაში არავინ არ უყურებს თანაგრძნობით ყოფილ რუსეთის მეფეს და არც არავინ ფიქრობს მას დახმარება გაუწიოს. კონსერვატორ ვესტარპმა სთქვა, რომ ბევრი ფიქრობს, თითქოს გერმანიამაც უნდა წაბაძოს რუსეთის მაგალითს, რომელიც დემოკრ. სახელმწიფოთა რიცხვში ჩაეწერა. მაგრამ გერმანიას ვერ შევადარებთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს, ვინაიდან ის ყველაზე მაღლა დგას. რუსეთში მომხდარი რევოლიუცია ოდნავათაც ვერ შეცვლის ჩვენს შეხედულებას იმის შესახებ, რომ გერმანიისათვის აუცილებლათ საჭიროა აღმოსავლეთით საზღვრების უზრუნველყოფა.

### დაპატიმრება.

**პეტროგრადი** 17 მარტი. მოსკოვის კომისარის განკარგულებით დააპატიმრეს ქ. ვლადიმირის გუბერნატორი კრეიტონი, თავისი მეუღლით.

### საფრანგეთი და რუსეთის რევოლიუცია.

იმ მოწოდების შესახებ, რომელიც პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭომ გამოუშვა ყველა ქვეყნის დემოკრატიის მიმართ, გაზეთი „მატენი“ სწერს: პროგრამამ, რომელიც ამ მოწოდებაშია დახატული, არ შეიძლება, რომ მოკავშირეებში გამოხმაურება არ მოიპოვოს, ვინაიდან მოკავშირეებს არ სურდათ ომი. მაგრამ ჩვენ მოვახდენთ გერმანიის მხრით დიდხანს პასუხის ცდა. ზოციალისტები და შეიდემანები კამათს ასტეხენ ფრაზების გულისთვის, მაგრამ ისინი ვერ მოატყუებენ პეტროგრადის პროლეტარიატს. მეორე გაზეთი—„ეხო დე-პარი“ სწერს, რომ რუსეთში ახალი რეჟიმი მხოლოდ იმ მიზნით განმტკიცდება, რომ ყოველგვარი ძალი იხმაროს გამარჯვების მოსაპოვებლათ. ჩვენ იმედი გვაქვს—სწერს გაზეთი—რომ რუსეთის მოწინავე პარტიებიც ნათლათ ხედავენ იმ საშიშროებას, რომელიც რუსეთს მოელის გარეშე მტრისაგან. დღეს დრო არაა ორატორიული დეკლარაციებისთვის. დღეს მხოლოდ ძალას შეუძლია თავისუფლების მოპოება, მტერზე საბოლოვოთ გამარჯვება.

**პეტროგრადი.** 17 მარტი. დროებითი მთავრობას და აგრეთვე მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს წინადადებით სახელმწიფო დუმის წევრი ტულიაკოვი დონის მთა-მადაროების რაიონებისაკენ წავიდა.

### გ ა დ ა ყ ე ნ ე ბ ა.

დროებითი მთავრობის განკარგულებით თანამდებობიდან გადააყენეს მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზოოლოგიის ექიმი და აგრეთვე ხარკოვის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველი. მოსკოვის სამოსწავლებლო ოლქის მზრუნველის მაგივრათ დაინიშნა მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის პროფესორი—ჩაპლიგინი.

### ბანკის გახსნა.

გახსნება მოსკოვში რუსეთ-ჰოლანდიის ბანკი.

### სანატორიუმის გახსნა.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა მოსკოვში პოლიტიკურ განთავისუფლებულთათვის მოსკოვში სანატორიები გახსნა.

### სოციალ დემოკრატებ-მენშევიკების კონფერენცია.

17 მარტს მოხდა სოც.-დემოკრატებ მეუმციერესების კონფერენცია, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: მხარი დაუჭიროთ ბურჟუაზიის მოძრაობას, რევოლიუციის განმტკიცების საქმეში და დახმარება გაუწიოთ დროებითი მთავრობას დამფუძნებელ კრების მოწვევაში და გამოქვეყნებულ პროგრამის განხორციელებაში.

### კომერსანტ პროფესორის გადაყენება.

მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ 17 მარტს დაადგინა, რომ პროფესორი ოზეროვი, რომელიც ცნობილია თავისი კომერციული მოქმედებით და რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბანკების ორგანიზაციის შექმნაში, სამსახურიდან გამორიცხული იქმნას.

### დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ა.

**მოგილიევი.** ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა საგუბერნიო კომისარის თანადასწრებით გაჩხრიკა ჟანდარმერიის სამართველო და ხუთი როტმისტრი დააპატიმრა. ზოგიერთი საიდუმლო ქაღალდების გადამალვა მოასწრეს ჟანდარმებმა, ჯარისკაცთა დეპუტატებმა დააპატიმრეს თანამდებობიდან გადაყენებული პოლიცმეისტერი.

### დელეგატები შინაგან საქმეთა სამინისტროში.

17 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოცხადდენ დელეგატები: რომის კათოლიკურ სამღვდელოებისა, პოლონეთის დემოკრატიული კომიტეტისა, კოლოს ნაციონალური კომიტეტის და პოლონეთის ნაციონალური ორგანიზაციებისა. მისალმების და მადლობის სიტყვით მიმართა პოლონეთის დემოკრატიული კომიტეტის სახელით ლედნიცკიმ. პოლონეთის კოლოს სახელით შებეკომ განაცხადა: რუსეთის ხალხმა დღეს მოინადირა პოლონელთა გული. გრაფმა ველეპოლსკიმ სალამი უძღვნა დროებით მთავრობას და განაცხადა, რომ ნაციონალური კომიტეტი მუდამ ერთგული იქნება კოალიციისა, შემდეგ დელეგატები მხურვალე ტაშის ცემით შეეგებენ მოსულ მინისტრებს: მანუილოვს, შინგარიოვს, კერენსკის, მილიუკოვს და სხვას. პირველათ მიესალმენ მილიუკოვს, რომელმაც შეადგინა ისტორიული მანიფესტი პოლონელთა მიმართ. მილიუკოვმა განაცხადა, რომ მას მტკიცეთა სწამს ის, რასაც წინათ იზიარებდა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა წინათ მაზე არ იყო დამოკიდებული, ის უცდიდა მომენტს, როდესაც განზრახვის სისრულეში მოყვანა შეიძლებოდა და ეს მომენტიც დადგა დღეს.

### პეტროგრადის პოლკი სახ. დუმაში.

პეტროგრადის პოლკი მთელი თავისი აფიცრებით 17 მარტს სახ. დუმაში გამოცხადდა. პოლკს წინ მიუძღოდა მუსიკა, რომელიც „მარსელიოზას“ უკრავდა და წითელი დროშები ეჭირათ ხელში. დროშაზე შემდეგი წარწერა იყო: „ომი თავისუფლებისთვის“. „ვენდობით დროებით მთავრობას“. პირველი სიტყვა წარმოსთქვა პოლკ. კრენკომ. ჩვენ—განაცხადა მან—ორჯერ მოვედით სახ. დუმ. პირველათ შეუკავშირებელი, ხოლო დღეს კი ორგანიზაციულათ დარაზმული. ჩვენ მოვედით გაგიცხადოთ, რომ მზათა ვართ დროებითი მთავრობას მხარი დავუჭიროთ და დავიცვათ როგორც გარეშე, ისე შინაგან მტრებისაგან. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მისალმების სიტყვით მიმართა პოლკს სტეკლოვმა, რომელმაც განაცხადა: ომი სწარმოებს, მაგრამ სწარმოებს თავისუფლების მოსაპოვებლათ. ვერ მივსცემთ ნებას ვილგელმს რომ გაიმარჯვოს, ვინაიდან ეს იქნებოდა თავისუფლების დასამარება. სახ. დუმის თავმჯ. სახელით ილაპარაკა ეფრემოვმა და აღნიშნა, რომ გაიმარჯვოს, იმედი გვაქვს, ჯარი არ დაუშვებს დამარცხებას და შეინარჩუნებს თავისუფლებას. ეფრემოვის შემდეგ ლაპარაკობს მუშათა დეპუტატების თავმჯდომარე დეპ. ჩხეიძე. ის მოუწოდებს ჯარს დაიცვას დისციპლინა, დამყარებული ჯარისკაცთა და აფიცერთა ერთიერთმანეთისადმი პატივისცემაზე. პოლკს მიესალმა აგრეთვე დეპ. ჩხენკელიც. შემდეგ მოვიდენ იზმაილოვის პოლკის წარმომადგენლები. ერთმა დელეგატთაგანმა შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: ჯარი სალამს გიძღვნათ იმ დიადი საქმისთვის, რომელიც თქვენ გააკეთეთ: ჩვენ იქ—სანგრებში მტრის ტყვიას გულს ვუშვერთ, რათა თქვენგან მოპოებული თავისუფლება დავიცვათ. მაქვს თუ არა უფლება უთხრა სანგრებში მყოფ ძმებს, რომ თქვენ მტკიცეთ გადასწყვიტეთ გამარჯვება მოიპოვოთ? ჩვენ სხვისი არა გვინდარა და ვერც ჩვენსას გავატნევთო—დაამთავრა დელეგატმა. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. შემდეგ მიესალმა მათ და რუსეთის განთავისუფლების გამო სიხარული გამოსთქვა პირველი დუმის წევრმა—ისიდორე რამიშვილმა. დასასრულ ილაპარაკა როდზიანკომ, რომელმაც ომის ბოლომდის მიყვანის ლოზუნგს ხაზი გაუსვა. მის სიტყვას ტაშითა და „ურა“ ს ძახილით შეხვდენ.

**პეტროგრადი.** დროებითი მთავრობამ გააგზავნა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს, რომ ის რუსები, რომლებმაც თურქესტანში მომხდარ არეულობის დროს კირგიზებზე ძალა იხმარეს ამნისტიას ექვემდებარებიან ისე, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებსაც მიაღეს ფიცით ასეთივე ძალმომრეობაში რუსებისა და სხვა ხალხის მიმართ.

**ლონდონი.** ლოიდ ჯორჯმა ყველა კლასების ქალთა დეპუტაციას უპასუხა, რომ მისცემს მათ პოლიტიკურ უფლებრივ თანასწორობას. ზოგიერთი შეხედულებით შესაძლებელია ჯერჯერობით საარჩევნო უფლება 35 წლის ქალებს მისცენ. ბოლოს უთუოდ პარლამენტი ამ უფლებას გააფართოებს.

**ნიჟნინოვგოროდი.** გარნიზონის ჯარების მიმართ გამოიცა შემდეგი ბრძანება: რადგან სალდათთა დეპუტატების საბჭოებს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია გარნიზონის სალდათების ცხოვრების მოსაწესრიგებლათ, ამიტომ, დროებით, სანამ მთავარი სამხედრო მთავრობა რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, ყველა მისი წევრები უნდა ალიარონ ხელშეუხებლათ, არ დაისაჯონ და განთავისუფლებულ იქნან სამსახურიდან და სხვა ადგილზე არ გადაიყვანონ.

**ლონდონი.** „დეილი ნიუსი“ ეხება რეიხსტაგის კამათს და ამბობს: „გერმანია კიდევ უგდებს ანკესს რუსეთს სეპარატიულ ზავის ჩამოსაგდებათ, მაგრამ რუსები კარგათ გრძნობენ ეს სასიკვდილო საფრთხე იქნება ახალი მთავრობისა და ჩვენთვის. აღმოსავლეთ და დასავლეთ ხალხისთვის მნიშვნელობა აქვს ერთათ იყვნენ და იბრძოლონ სანამ საბოლოოდ არ მოსპობენ პრუსიის გვარდიას“. ვენიზელოსის შესახებ გაზეთი ამბობს: „ვენიზელოს ხელს უშლიდენ შეთანხმების სახელმწიფონი. ჩვენ ვიცით ცოტა რამ რუსეთის სასახლის ინტრიგების შესახებ, სწორეთ იქ უნდა ეძებონ ის ხელი, რომელიც იცავდა კონსტანტინეს და ეწინააღმდეგებოდა ვენიზელოსს.

**კოპენჰაგენი.** „ბერლინის ტიდენდე“ ბერლინიდან დეპეშით იტყობინება: „გერმანიის პრესა უკმაყოფილებას აცხადებს კანცლერის სიტყვის გამო. ნაციონალ ლიბერალებმა და პროგრესისტებმა წინადადება შეიტანეს დანიშნონ კომისია იმ კითხვის შესამუშავებლათ, რომ შემოღებულ იქნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო საარჩევნო უფლება, იმ სახელმწიფოებში, რომლებიც გერმანიის იმპერიაში შედიან.

**კიევი.** კოოპერატივთა საგუბერნიო სიეზდი დასრულდა და დაადგინა მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას, მოუწოდოს ყველა დაწესებულებებს ახალ წეს წყობილების განმტკიცებისაკენ და უზრუნველჰყოს ჯარი პურითა და სხვა სანოვაგით. სიეზდის აზრით მხოლოდ რუსეთის დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკა უკრაინის ნაციონალტერიტორიალურ ავტონომიით უზრუნველჰყოფს ხალხის უფლებებს. უკრაინელების სკოლებში და ყველა დაწესებულებებში დაუყონებლივ შემოღებულ უნდა იქნას სამშობლო ენა.

**ფეოდოსია.** როძიანკოს სახელობაზე შესდგა ოქროს ფონდი. აგროვებენ ოქროს ფულს, რომელიც ძველი რეჟიმის დროს დარჩა.

**კიევი.** 18 მარტი. პროფესორები: ვერბიცკი, ტუტკოვსკი, კონსტანტინოვიჩი, კოსტევიჩი, იაბლოჩკოვი და ფომინი თანამდებობიდან გადადგენ.

პროფესორთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა დასტოვონ ადგილზე კონსტანტინოვიჩი. კოსტკევიჩი და ტუტკოვსკი.

### სტოლიპინის ძეგლი.

აჟარებული ხალხის კრებაზე მოხსნეს სტოლიპინის ძეგლი.

**ომსკი.** 17 მარტი. დროებით მთავრობის კომისარი ლაპტევი შეუდგა თანამდებობის აღსრულებას უდაბნოს მხრის, ომსკის სამხედრო ოლქის და ციმბირის კაზაკთა ჯარის საქმეთა მოსაგვარებლათ.

### გაზეთის გამოცემა.

**კრონშტადტი.** 18 მარტი. კრონშტადტში გამოვიდა მუშათა საბჭოსი და ჯარისკაცთ დეპუტატების გაზეთი.

### დონის ყაზახები.

ნოვოჩერკასკში დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული კომისარი ვორონკინი მოვიდა, დონის ყაზახებმა მას დიდი ოვაციები გაუმართეს. კომისარმა სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე და პროკურორი სამსახურიდან გადააყენა.

### მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს რეზოლიუცია.

ბახმუტის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიაც ისინი დროებით მთავრობას ნდობას უცხადებენ. გარდა ამისა, დასახელებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ აგრარიული საკითხის გადაჭრა დამფუძნებელმა კრებამ უნდა იკისროს; ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, რომელიც საერთაშორისო დემოკრატიულ სამშვიდობო კონფერენციაზე უნდა გადასწყდეს.

### პროვოკატორის დაპატიმრება.

**ვიატკა,** 17 მარტი. 12 მარტს ვიატკის აღმასრულებელმა მომიტეტმა დააპატიმრა დრუევსკის ქარხნის მუშათა დეპუტატების საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მერზლიაკოვი, რომ ლიც გამოტყდა, რომ მას 1911 წლიდან უმსახურნია „ოხრანკაში“. გუბერნიის სასურსათო სიეზდზე მერზლიკოვს განუცხადებია, რომ ხელი გაუწოდოთ გერმანიის პროლეტარიატს ომის დაუყონებლივ შესაჩერებლათ. ეს პროვოკატორული წინადადება ერთხმათ უარყვეს და მოითხოვეს ომის ბოლომდე დაყვანა და გერმანიის მილიტარიზმის დანარცხება. მერზლიაკოვის დაპატიმრების ცნობამ სიეზდზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან ამ ფაქტიდან აშკარა შეიქნა, თუ როგორი პროვოკატორული მიზნით შეიძლება გერმანიის პროლეტარიატთან დაკავშირებისა და ომის შეწყვეტის შესახებ მოწოდება გამოსცენ ხოლმე.

# ომის დეპეშები.

**პარიჟი.** 17 მარტი. მდ. სომის ჩრდილოეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. აქ ქვეითი ჯარების შეტაკება არ მომხდარა. სუასონში, ბრენი-მარჟ ვალის ნაწილებში წინ წავიწიეთ. მეზონ-დე-შამპანში მტერს რამდენიმე სანგარი წავართვით. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**ქრისტიანია.** 17 მარტი. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ნორვეგიის 5 გემი ჩასძირა: „ოსი“, „ტიზონი“, „აასტა“, „გრიბა“ და „ურანია“.

# ახალი ამბები

**თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტში.** 17 მარტს მოხდა თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნ. ელიავა. კრებას დაესწრნენ ქართულ და სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენელნი, საგუბერნიო აგრონომი, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტი და სხ. კრებამ დაადგინა მოწოდებით მიმართოს სოფლის მცხოვრებთ, რომ სათესლე მასალა გამოსაკვებად არ დახარჯონ, რადგან სასურსათო კომიტეტი ყოველივე ღონეს ხმარობს სურსათი საკმაოდ მიაწოდოს ხალხს, არამედ სათესლე მასალა მინდვრების დასათესად მოიხმაროს. შემდეგ კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ როგორ გაანაწილოს მთხოვნელთა შორის სასურსათო კომიტეტის მიერ დაკვეთილი სათესლე მასალა.—30 ვაგ. ხორბალი 115 ვაგ. ქერი, 6 ვაგ. შვრია, 100 ვაგ. სიმინდი და 50 ვაგ. კარტოფილი. კრებაზე აგრეთვე დადგენილ იქმნა გაიგზავნოს სპარსეთში მცოდნე კაცი ბოსტნეულობის თესლის შესაძენად და ამ საქმისათვის გადაიდვას 10,000 მანეთი. აგრეთვე სურვილი გამოითქვა, რომ შესდგეს მუშათა დრუჟინა სოფლის საჭიროებისათვის.

✦ **მასწავლებელთა რეზოლიუცია.** 18 მარტს თფილისის ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც რეზოლიუცია გამოიტანეს დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნენ სამასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწენი, თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი და ინსპექტორები.

✦ **კრების გადადება.** კრება სახელოსნოების მუშათა და წვრილ ხელოსანთა, დანიშნული კვირას 19 მარტს, არ შესდგა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო და გადაიდვა შემდეგ კვირისთვის 26 მარტისთვის ხელოსანთა კლუბში (მიხეილ. პრ.) დილის 10 ს. ასარჩევია წარმომადგენელი მუშათა დეპუტატების საბჭოში.

✦ **შეწირულება.** წარსულ თებერვალში გარდაცვლილ ბარბარე ვასილის ასულის თამამშევის შვილის შვილებმა 1000 მანეთი შესწირეს ქართულ სამხატვრო საზოგადოებას განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად.

✦ **ფქვილი.** თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომისიის მიერ მიღებულ დეპეშის მიხედვით, ბალაჯარში მოსულა 100 ვაგონი ფქვილი, რომელთაგან 70 ვაგონი თბილისისათვის არის გამოგზავნილი და 30 ვაგონი გუბერნიის საჭიროებისათვის, ბალაჯარაშივე განკარგულება მოსულა, რომ თბილისის გამოსაგზავნი ფქვილი არ გააჩერონ, რადგან ფქვილი არ მოიპოება თბილისშიო.

✦ **ჩხრეკა.** 19 მარტს, ღამით ქალაქის კომისარებმა გაჩხრიკეს ძველი პოლიციის ბოქაულები და მათი თანაშემწენი. ჩხრეკამ დილამდისინ გასტანა.

✦ **ბ-ნი ურუსოვი,** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, დეპეშით ატყობინებს თფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ წინად გამოცემული კანონები სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომების შესახებ და აგრეთვე 1916 წლის 25 აგვისტოს კანონის შესახებ საზღვარ გარეთ წასასვლელი პასპორტებისა ძალში რჩებაო.

✦ **გადმოხვეწილნი.** თფილისში მიღებულ ცნობათა მიხედვით, ამიერ კავკასიაში შემოხიზნული ლტოლვილნი თავიანთ სამშობლოში ბრუნდებიან, სომხეთა ორგანიზაციები მათ დახმარებას უწევენ.

✦ **ბ-ნი პისარსკი,** რომელიც მეფის ნაცვლის საგანგებო განყოფილებას (შავ კაბინეტს, განაგებდა და რევოლიუციის შემდეგ დაიმალა, გუშინ 20 მარტს, აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ოფიცერმა გ. მაღალაშვილმა დაიჭირა ნავთლუღში.

✦ **მასწავლებელთა კრება.** თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობა აუწყებს ფილიალურ განყოფილებებს, რომ 7 აპრილს თფილისში ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია განყოფილებათა დელეგატების კრება, რომელმაც შემდეგი საგნები უნდა განიხილოს: 1) საკითხი დღევანდელ მომენტის შესახებ; 2) კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის არჩევა; 3) კავშირის წესდების პროექტის განხილვა; 4) საკითხი შესახებ ადგილობრივ კომიტეტების მოწყობის, 5) საკითხი სამოსწავლო ადმინისტრაციის გადაყენების და სხვ. ფილიალურ განყოფილებათა კრებები უნდა გაიმართოს 26 მარტს. კრებებს დაესწრებიან კავშირის გამგეობის წევრები. კრებები აირჩევენ დელეგატებს თფილისის საერთო კრებაზე გასაგზავნათ.

✦ **ნავთლუღის დეპოს** (კახეთის რკინის გზის) და სხვა დარგის მუშებმა ამოირჩიეს დეპუტაცია სამი კაცისაგან კახეთის რკინის გზის უფროსთან მოსალაპარაკებლად. აირჩიეს: ბარბაქაძე ვასილი, ფერაძე სამსონი და ვაშაკიძე ნოე. უფროსს 18 მარტს წაუყენეს შემდეგი მოთხოვნილებები: 1) 50 პროც. მომატება ყველა დარგის მუშებს; 2) ორი თვის, დეკემბრის და ნოემბრის 1915 წ. სამობილიზაციოს დარიგება; 3) ეგრედვე სამობილიზაციოს დარიგება დღიურებისთვის 12 ნახ. % პირველი იანვრიდგან პირველ ოქტომბრამდე 1916 წლისა; 4) სააღდგომოთ ორი თვის ჯამაგირის საჩუქრად დარიგება, ისე როგორც ეს ამიერ კავკასიის გზაზე ხდება; 5) მუშების ასაყვან-ჩამოსაყვანად თფილისიდგან და ნავთლუღიდგან დანიშნულ იქმნას მატარებელი; 6) ექიმ ფერშლის დანიშნულ დროს უსათუოდ საავადმყოფოში ყოფნა; 7) აბანოს დამთავრების დაჩქარება და 8) კანონების ძალით ეძლიოს ავადმყოფ მუშას კუთვნილი ჯამაგირი, ისე როგორც ეს ხდება სხვა სახაზინო გზებზე. მოისმინა რა ბ. თუმანოვმა ზემოხსენებული მოთხოვნილებები, დაგვპირდა ყველა ზემოხსენებული მოთხოვნილებების ასრულებას.

# ამიერ კავკასიის მუშათა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობა.

18 მარტს თფილისში სასახლის დარბაზში გაიხსნა ამიერ კავკასიის მუშათა საბჭოების წარმომადგენელთა კრება. კრება გახსნა თფილისის მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. მან მოკლე სიტყვით დაახასიათა თანამედროვე მომენტი, მუშათა კლასის როლი და ტაქტიკა. მისი სიტყვით პროლეტარიატი უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა დღევანდელი რევოლიუციისა, მარა მასთან ერთათ მონაწილეობას იღებს პროგრესიული ბურჟუაზია და ჯარი. ამიტომ მუშათა კლასის დღევანდელი ტაქტიკა დიდათ განსხვავდება და უნდა განსხვავდებოდეს 1905 წ. ტაქტიკიდან, როდესაც მუშათა კლასი ეგებმონობდა. პროლეტარიატმა უნდა აწარმოვოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა რევოლიუციონური ძალების გაერთიანებას ძველი წესწყობილების წინააღმდეგ. გარდა ამისა კავკასიის მუშათა კლასის წინაშე სდგას ნაციონალური საკითხი; მან ეს უნდა მოაწესრიგოს და უნდა ეცადოს, რომ ნაციონალურ მტრობას ნიადაგი გამოაცალოსო.

ამის შემდეგ შეუდგენ პრეზიდიუმის არჩევნებს. აირჩიეს ნოე ჟორდანია, შაუმიანი და ერაძე.

კრებამ გამოიმუშავა შემდეგი დღიური წესრიგი: 1) დღევანდელი ტაქტიკა; 2) ომის საკითხი; 3) სახელმწიფო დუმის მიერ დანიშნულ კომისარიატთან დამოკიდებულება; 4) ნაციონალური საკითხი; 5) აგრარული საკით-

ხი; 6) ჯარისკაცების ორგანიზაციებთან დამოკიდებულება; 7) მუშათა საბჭოს კომპეტენცია; 8) ორგანიზაციული საკითხი და 9) ფინანსიური საკითხი.

მანდატების შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ წარმომადგენლები გამოუგზავნიათ მუშათა საბჭოებს შემდეგი ადგილებიდან: თფილისიდან 4, ბაქოდან 4, ქუთაისიდან 2, ბათუმიდან 2, ჭიათურიდან 1, ყვირილა-შორაპნიდან 1, ფოთიდან 1, ბორჯომიდან 1, მიხაილოვიდან 1, გორიდან 1 და სამტრედიიდან 1.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა ადგილობრივი მოხსენებები. მეტათ საინტერესო იყო ბაქოელი ამხანაგის მოხსენება. მისი სიტყვით, იქაურ მუშათა საბჭოში ჯერჯერობით შედის 72 ათასი მუშის წარმომადგენელი. საბჭოს პარტიული შემადგენლობა შემდეგია: მეუმცირესე 22, მეუმრავლესე 16, სოც.-დემოკრატიის მიმდევრები 13, ესერები 14, დაშნაკცაკანები 6, კადეტი 1. საერთოთ ყველა მოხსენებიდან სჩანდა, რომ მუშები ყველგან დიდ როლს თამაშობენ და მოწინააღმდეგენიც იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ მათ.

მოხსენების დროს შემოვიდენ თფილისისა და ბაქოს სალდათების საბჭოს წარმომადგენლები და შემდეგი სიტყვებით მიესალმენ კრებას: ამხანაგების დავალებით გიძღვნით სალამს, გახსოვდეთ, რომ რევოლიუციონური ჯარი მუშათა კლასთან ერთათ დაიცავს ხალხის უფლებებს და გარეშე მტერსაც შეებრძოლება. კრება მათ ტაშისცემით შეხვდა. სხდომა შეწყდა 4 საათზე და გაიხსნა საღამოს 6 საათზე.

კრებას თავჯდომარეობდა გ. ერაძე. შეუდგენ პირველი კითხვის გარჩევას ნ. ჟორდანიამ გააკეთა მოხსენება დღევანდელი მომენტისა და აქედან გამომდინარე მუშათა ტაქტიკის შესახებ. დღევანდელი ჩვენი ტაქტიკის შესახებ — განაცხადა ნ. ჟორდანიამ—ჩვენ გვქონდა მსჯელობა თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოზე და კიდევაც გამოვიტანეთ რეზოლიუცია. სწორი ტაქტიკის გამომუშავებისთვის საჭიროა თითონ მომენტის სავსებით გათვალისწინება და შეგნება დღევანდელი რევოლიუციის ამამოძრავებელი და მის სათავეში მდგომი სამი უმთავრესი ძალა: 1) პროლეტარიატი, 2) პროგრესიული ბურჟუაზია და 3) არმია, რომელიც იგივე ხალხის შვილებისაგან არის სავსე. მართალია რევოლიუციის სათავეში მდგარი და მამოძრავებელი ძალაა პროლეტარიატი, მაგრამ დღევანდელი რევოლიუცია თავის შინაარსის მიხედვით ერთი რომელიმე კლასის საქმე არაა. პროლეტარიატი და ბურჟუაზია ერთათ ხელმძღვანელობენ რევოლიუციის საქმეს. თუ შევადარებთ დღევანდელ რევოლიუციას 1905 წლის რევოლიუციას, აშკარად დავინახავთ მაშინდელი და დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის სხვადასხვაობას. 1905 წლის მოძრაობაში ჩვენ ვერ ვხედავდით ბურჟუაზიას, არამედ ვამჩნევდით ჩამოუყალიბებელ მასსას, რომლის სათავეშიაც მუშათა კლასი იდგა. ამიტომ მაშინ ჩვენი ტაქტიკა იყო მუშათა გაფიცვები, რომელიც ყველგან ხდებოდა, დღეს კი ამას ადგილი არა აქვს და არც შეიძლება დღევანდელი ტაქტიკა ერთ რომელიმე კლასს დაუქვემდებაროთ. ჩვენ ერთათ უნდა ვიაროთ იმ კლასებთან და ყველა იმ ძალებთან, რომელნიც მონაწილეობას იღებენ რევოლიუციის მსვლელობაში, რათა განცალკევებული არ დავრჩეთ და საერთო ძალით დავამყაროთ რესპუბლიკა. რაც შეეხება მუშათა საკითხს— განაცხადა მომხსენებელმა—ამას მოწესრიგება უნდა მივანდოთ მომრიგებელ კამერებს, რომ გამოჯობესება მოხდეს არა ბრძოლით არამედ ორივე დაინტერესებული მხარის შეთანხმებით. გლეხთა საკითხიც ისე უნდა მოწესრიგდეს, როგორც მუშათა ეკონომიური საკითხი: დაარსდეს სოფლებში მომრიგებელი კამერები, რომელნიც შეთანხმებით გადასწყვეტენ ყოველივე უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ექნება მიწის საკითხის გარშემო. რაც შეეხება მიწების კონფისკაციის საკითხს ამას საბოლაოთ დამფუძნებელი კრება გადასჭრის. ნაციონალური საკითხის დღესვე წამოყენება, გამოიწვევს ბრძოლას ნაციათა შორის, რასაც შედეგათ მოყვება რეაქცია. ამ საკითხის გარშემოც უნდა მოხდეს შეთანხმება ყველა ნაციათა შორის და ეს საუკეთესო თავდები იქნება დამფუძნებელ კრებაზე გამარჯვებისა. მოკლეთ განაცხადა მომხსენებელმა, საჭიროა სხვებთან ერთათ ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკის განსახორციელებლათ, ხოლო მუშათა, გლეხთა და ნაციონალური საკითხები უნდა გადაწყდეს შეთანხმების საშუალებითო. ამ საკითხის გაშუქების დროს ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. **ე. გეგეჭკორი** ეთანხმება ყველაფერში მომხსენებელს გარდა მიწის საკითხისა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გლეხების ხმა არ ისმის დღევანდელ რევოლიუციაში. რომ გლეხობა აქტიური გახდეს, მიიღოს მონაწილეობა მოძრაობაში, ამიტომ საჭიროა უფრო გაბედული ნაბიჯის გადადგმა და გლეხებში ისეთი ლოზუნგის გადასროლა, რომელიც მათ აამოძრავებს. მათ ეხლავე უნდა ვუთხრათ, რომ მიწა და თავისუფლება მათთვის აუცილებელია, ამიტომ მიწის საკითხი დღესვე უნდა გიდიჭრას და არა შემდეგისთვის იქნას გადადებულიო. რაც შეეხება ნაციონალურ საკითხს, აქაც ეხლავე უნდა წამოვაყენოთ ყველასთვის მისაღები ფორმულა, როგორიცაა ყველა ერების პოლიტიკური და კულტურული თვითგამორკვევის უფლების აღიარება.

**შაუმიანმა და ჯუღელმა** გადაჭარბებული მნიშვნელობა აკუთვნეს დღევანდელ რევოლიუციაში მუშათა კლასს და დაამცირეს ბურჟუაზიის როლი დღევანდელ მოძრაობაში. არ შეიძლება—განაცხადა შაუმიანმა,- რომ რევოლიუციის ერთნაირ ძალას წარმოადგენდეს მუშათა კლასი და ბურჟუაზია, რაც შეეხება გლეხთა საკითხს, ახლავე უნდა გადვისროლოთ მიწათა კონფისკაციის ლოზუნგი და გაბედულათ ვიმოქმედოთ. ასევე უნდა მოვიქცეთ ნაციონალურ საკითხის შესახებ: უნდა წამოვაყენოთ ახლავე და გავსწიოთ აგიტაცია იმ სახით, როგორც ჩვენ ეს გვაქვს ჩვენს პროგრამაში. შეთანხმება ამ ნიადაგზე და საკითხის გადაჭრის დამფუძნებელ კრებამდე გადადება საჭირო არაა. **ნ. ჭუმბურიძის** აზრით ნოე ჟორდანიას დაფასება რუსეთის მამოძრავებელი ძალების სწორია. ბურჟუაზიის როლის უარყოფა დღეს სადაო აღარ უნდა იყოს, ამაზე ლაპარაკი კიდევ შეიძლებოდა რევოლიუციამდის, დღეს კი ჩვენს წინაშე ფაქტია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით. ამიტომ საერთო სხემა ნ. ჟორდანიასი სწორია. მხოლოდ, რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას, და მომენტის ლოზუნგებს აქ საჭიროა უფრო გარკვეული გზა. საჭიროა მუშათა კლასმა თავისი კლასიური ინტერესების მიხედვით შესაფერი ლოზუნგები წამოაყენოს. ჩვენ უნდა დავიცვათ შემდეგი დებულება: —ერთად შეტევა და ცალ ცალკე სიარული—სწორეთ ამ დებულების დაცვა არა სჩანს ნ. ჟორდანიას მოხსენებიდან. ის ერთათ შეტევას მოითხოვს, ხოლო ცალკე სიარული უარყოფილია. საერთო ნაციონალურ ლოზუნგებთან ერთათ წამოყენებული უნდა იქნეს საკუთარი ლოზუნგებიც. შიში იმისა, რომ ოპოზიციური საზოგადოება დაფრთხება საკუთარი ლოზუნგების წამოყენებით არ არის სწორი. ბურჟუაზია ჩამოგვშორდება ჩვენ არა იმიტომ, რომ საკუთარი გზით ვივლით, არამედ მაშინ, როცა ის პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებს მიაღწევსო.

**ერაძემ** ხაზი გაუსვა ზოგიერთი ორატორების ეკონომიური ანალიზის უქონლობას. მისი აზრით, შეცდომაა ბურჟუაზიის მნიშვნელობის დამცირება და გლეხობის როლის გაზვიადება. ჩვენ უმთავრესათ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დღევანდელი გადატრიალება მოხდა ეკონომიურ ნიადაგზე. ეს პირდაპირი მიზანი იყო ბურჟუაზიისთვის, რომელსაც უამისოთ არ შეეძლო განვითარება, აქედან ცხადია, რომ დღევანდელ რევოლიუციაში ბურჟუაზია შეგნებულათ იღებს მონაწილეობას.

შემდეგ ილაპარაკეს სხვა დელეგატებმაც, რომელთაც მხარი დაუჭირეს ნ. ჟორდანიას. უკანასკნელათ ილაპარაკა ისევ ნ. ჟორდანიამ და აღნიშნა, რომ ზოგიერთებმა დაივიწყეს მარქსის მოძღვრება, როდესაც გადაჭარბებული მნიშვნელობა აკუთვნეს რევოლიუციის საქმეში გლეხობას. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღევანდელი რევოლიუცია დამყარებულია სხვადასხვა ძალთა კოორდინაციაზე და, რომ ჩვენც ისეთივე დათმობის გზა უნდა ავირჩიოთ, როგორზედაც შედგა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელმაც რევოლიუციის სათავეში პროგრესიული ბურჟუაზია დასვა დროებითი მთავრობის სახით, დაათავა ნ. ჟორდანიამ. დასასრულ კენჭის საყრელათ წარმოადგინეს ორი რეზოლიუცია: ერთი შაუმიანის და მეორე კი ნ. ჟორდანიასი. კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ნ. ჟორდანიას რეზოლიუცია, რომელიც უნდა შეიმუშაოს კომისიამ და შეიტანოს შიგ შესწორებები. მასში ნათქვამია რევოლიუცია უნდა მივიყვანოთ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე და ამის განსახორციელებლათ უნდა ვიაროთ ყველა იმ კლასებთან შეთანხმებულათ, რომელნიც კი ჩვენთან ერთათ ივლიან. მუშათა და გლეხთა საკითხი დამფუძნებელ კრებამდე გადაწყდეს მომრიგებელი კამერების საშვალებით; რაც შეეხება 8 საათის სამუშაო დღეს და მიწების კონფისკაციას, ეს უნდა გადაწყდეს დამფუძნებელ კრებაზე. კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ამ რეზოლიუციას დაამუშავებს.

(გაგრძელება იქნება).

# თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოში.

19 მარტს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა თფ. მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება, რომლის უმთავრესი მიზანი იყო სრულიად რუსეთის მუშათა საბჭოების წარმომადგენელთა სიეზდზე დელეგატების არჩევა და მასზე დასმული საკითხების გარჩევა. სიეზდი მოხდება პეტროგრადში 28 მარტს. კრებას თავჯდომარეობდა გ. ერაძე. პირველათ კრება მიესალმა ამიერკავკასიის მუშათა საბჭოების დელეგატ სტუმრებს. დელეგატების მხრივ თფ. მუშათა საბჭოს მიესალმა ბაქოელი დელეგატი, რომელსაც მთელი დარბაზი ტაშისცემით შეხვდა. შემდეგ კრება შეუდგა დღიურ წესრიგში დასმულ შემდეგი საკითხების განხილვას: 1) დამოკიდებულება ომთან; 2) დამოკიდებულება დროებით მთავრობასთან; 3) სამზადისი დამფუძნებელ კრებისათვის; 4) რევოლიუციონურ ძალთა და კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან ბრძოლა; 5) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს შორის დამოკიდებულება და 6) დელეგატების არჩევა. ომთან დამოკიდებულების შესახებ ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა მედგარი ბრძოლა ახლად მოპოვებულ თავისუფლების დასაცავათ მანამდე, სანამ სხვა ქვეყნის პროლეტარიატი არ გამოეხმარება რუსეთში მომხდარ ამბებს და მთელი ინტერნაციონალი არ აიღებს ხელში ომის დაბოლოვების საკითხს. კრებამ ამის შესახებ მიიღო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს რეზოლიუცია, ბაქოელი ამხანაგების რეზოლიუციის დამატებით. რევოლიუციონურ მთავრობასთან დამოკიდებულების შესახებ, კრებამ მიიღო იგივე რეზოლიუცია, რომელიც მუშათა საბჭოების სიეზდის მიერ იქნა მიღებული, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა ვიაროთ და დავეხმაროთ ყველა იმ ძალებს, რომელნიც ჩვენთან ერთათ ივლიან დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე. მხოლოდ, როგორც ისინი ამ გზას გადაუხვევენ, ჩვენც მაშინათვე ჩამოვეცლებით. დამფუძნებელი კრებისთვის სამზადისათ კრებამ დაადგინა, რომ ყველა ორგანიზაციებმა და კავშირების მიერ შეიქნას საერთო ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება. უნდა გაჩაღდეს, როგორც სიტყვიერი ისე წერილობითი აგიტაცია-პროპაგანდა დამფუძნებელი კრებისა, დემოკრატიული რესპუბლიკისა, და სხვა კითხვების შესახებ, რათა ხალხმა და უმთავრესათ გლეხობამ დამფუძნებელ კრებაში შეგნებულათ მიიღოს მონაწილეობა. რევოლიუციონურ ძალთა მობილიზაციის და კონტრ-რევოლიუციონურ ძალების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კრებამ მიიღო ნ. ჭუმბურიძის წინადადება, რომლის თანახმათ უნდა მოხდეს ყველა რევოლიუციონური ძალების შეკავშირება მუშათა საბჭოების, გლეხთა საბჭოების, ქალაქთა კომიტეტების და ჯარისკაცთა საბჭოების გარშემო. გარდა ამისა რევოლიუციონური ჯარების ორგანიზაციები და ჯარის ის ნაწილი, რომელიც პირველათ მიემხრო რევოლიუციას უნდა დარჩენ იმ ადგილებში, სადაც ეხლა იმყოფებიან. საჭიროა აგრეთვე ჯარის ყველა ნაწილში მუშათა საბჭოებმა იყოლიონ თავისი წარმომადგენლები, რათა ამით უფრო განმტკიცდეს კავშირი ამ ორ ძალას შორის. ამას დაემატა ალ. დგებუაძის წინადადება, რომელიც გამოიხატება შემდეგში.

1) დააპატიმრონ ყველა აქტიური კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები; 2) შეიარაღდეს მოწინავე მუშები; 3) აჰყარონ იარაღი ყველა საეჭვო პირებ; 4) აეკრძალოთ შავრაზმელებს საიდუმლოთ კრებების მოხდენა; 5) ყველა სამაზრო და საგუბერნიო დაწესებულებები გაიწმინდოს არასასურველ ელემენტებისაგან და 6) მილიციის შესახებ დაუყონებლივ იქნეს გადასინჯული მილიციონერთა სია და საეჭვო პირებისაგან გაიწმინდოს. ამ საქმის მოსაგვარებლათ აუცილებლათ უნდა შესდგეს განსაკუთრებული კომისია, რომელიც დაჩქარებით გადასწყვეტს მილიციის საკითხს.

დასასრულ კრებამ აირჩია თავისი წარმომადგენლები 28 მარტისთვის პეტროგრადის სიეზდზე დასასწრებლათ. წარმომადგენლებათ არჩეულ იქნენ: მეორე სათათბიროს ყოფილი წევრი კაკი წერეთელი, რომელიც დღეს პეტროგრადში იმყოფება და ნ. ჟორდანია. კანდიდატათ გ. ერაძე.

# თფილისის აღმასრულებელ კომიტეტში.

18 მარტის კრებაზე დაესწრენ სახელმწიფო დუმის კომისარები: ჯაფაროვი, ხარლამოვი, პაპაჯანოვი და აბაშიძე. ხატისოვმა მათ გააცნო თფ. აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედება და აგრეთვე რამოდენიმეთ მდგომარეობა ამიერკავკასიაში, რითაც კომისარები კმაყოფილი დარჩენ. ხარლამოვის სიტყვით ეს კომისარები ნამდვილათ არიან ამიერკავკასიის კომისარები, ვინაიდან მთავრობას გადაუწყვეტია ჩრდილოეთი კავკასია მოაშოროს მართვა-გამგეობის საქმეში ამიერ კავკასიას. სხვათა შორის კომისარებმა კომიტეტს გააცნეს პეტროგრადში მომხდარი ამბები. კერძოთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის შესახებ აღნიშნეს, რომ ახალი მთავრობა ძლიერ შიშობდა, ვაი თუ მას კავკასიის ჯარებში დიდი გავლენა აქვსო და იძულებული იყო მის წინააღმდეგ უფრო დიპლომატიურ გზებისათვის მიემართა. პაპაჯანოვმა დაახასიათა სატახტო ქალაქების სულისკვეთება და აღიარა, რომ ხალხი ერთხმათ მოითხოვს დემოკრატიულ რესპუბლიკას და უკვე ყველა იზიარებს იმ შეხედულებას, რომ მონარქიული (ინგლისისებური) წყობილება რუსეთში ნიშნავს იმავე თვითმპყრობელობასო. ამ განცხადებას კრება ტაშით მიეგება. საერთოდ მან აღნიშნა, რომ ჩვენ, ე. ი. ახალი მთავრობა მეტის-მეტ გულ-კეთილობას ვიჩენთ ძველისადმი და ეს კი დასაშვები არ არის, რადგანაც რაც ნაკლებ სისასტიკეს და სიმტკიცეს გამოვიჩენთ, მით ნაკლებათ შევუწყობთ ხელს თავისუფლების დამკვიდრებასო.

ამის შემდეგ კომისარები დასასვენებლათ წავიდენ. კომიტეტის კრებაზე გამოცხადდენ მასწავლებლების წარმომადგენლები, მიესალმენ კომიტეტს და აღუთქვეს მას ყოველგვარი დახმარება თავისუფლების იდეიის გავრცელებაში, თან მათ სთხოვეს კომიტეტს მიეღოთ მათი წარმომადგენელი აღმასრულებელ კომიტეტში. შემდეგ ამისა კომიტეტმა აირჩია ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლების ყრილობაზე დასასწრებლათ 6 პირი სახელდობ: ნ. რამიშვილი, ა. ლომთათიძე, [illegible]ტოვი, ოგანჯანოვი ბარათაშვილი და დოლუხანოვი და დაავალა წარმომადგენლობა კომისარებს ნ. ჟორდანიას, პაპოვს და ხატისოვს.

რეზოლიუცია, რომელიც მიიღო აღმასრულებელმა კომიტეტმა ქართველ ნაციონალისტების გამოსვლის გამო: აღიარებს რა სოც. ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატების გამოსვლებს საზოგადო ორგანიზაციების საერთო მუშაობის ხელის შემშლელათ ახალ წყობილების გამტკიცების საქმეში, სხდომა გადადის მორიგ საკითხზე“.

# რევოლიუცია სოფლად.

**სოხუმი.** 12 მარტს ადგილობრივ ს.-დ. პარტიის და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ხელმძღვანელობით მოწყობილ იქმნა დიდებული მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი ხალხი დაესწრო. ამ დღეს სხვათა შორის მთელ გარნიზონს ფიცი უნდა მიეღო დროებითი მთავრობის ერთგულობაში. წინა დღით ქალაქის საბჭოს სხდომაზე ერთხმათ დადგენილი იქმნა, რომ გარნიზონთან ერთათ ფიცი მიეღო ხმოსნებს და მოქალაქეთ.

დილის 11 საათიდან ხალხმა იწყო დენა ქალაქის ბულვარისაკენ, რომელიც ზღვის პირად მდებარეობს. აქვე შეიკრიბნენ ს.-დ. წარმომადგენლები წითელი დროშებით. აქედან შეკრებილი ხალხი გაექანა ე. წ. მწვანე მინდვრისაკენ, რომელიც რეალური სასწავლებლის წინ იმყოფება. მალე აქვე შეიკრიბა მთელი ადგილობრივი გარნიზონი წითელი დროშებით. გარნიზონს წინ მოუძღოდა რეალური სასწავლებლის და უმაღლესი სკოლის დუხოვოი ორკესტრი. აქ ჯარმა, ხმოსნებმა და მოქალაქეთ ფიცი მიიღეს, რის შემდეგ გარნიზონის უფროსმა და ქალაქის თავის მოადგილემ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს. შემდეგ ხალხი გარნიზონთან ერთად, მეორეთ გაემართა ბულვარისკენ. წესიერება საუცხოვოთ იყო დაცული, ყველა გრძნობდა სიხარულს და მომენტის დიად მნიშვნელობას.

სასტუმრო „სან რემო“-ს აივნიდან ორატორებმა ხალხს და ჯარს მიულოცეს ძველი, დახავსებული წეს-წყობილების დანგრევა და ბრწყინვალე მომავალი. მოუწოდენ ხალხს და ჯარს მხარი დაუჭირონ დროებითი მთავრობას და მედგარი ნაბიჯით გაექანონ დამფუძნებელი კრებისაკენ და დემოკრატიული რესპუბლიკისკენ. ს.-დ. პარტიის სახელით ილაპარაკეს დ. ზახაროვმა, ნ. ქურიძემ და ექიმმა პ. შალიძემ. შემდეგ გარნიზონის წარმომადგენელმა ა. ურუშაძემ და ოფიცერმა. სიტყვები წამოითქვა: ქართულ, სომხურ და ბერძნულ ენებზე.

მიტინგმა მიიღო დროს შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა თ-დ ლვოვს, ჩხეიძეს, კერენსკის და მუშათა დეპუტატების საბჭოს, რის შემდეგ მიტინგი ხუთ საათზე დაიშალა. ბ.

**სენაკის რაიონის მუშათა დეპუტატთა საბჭო.** 8 მარტიდან დაიწყო სენაკის რაიონის მუშათა შორის მუშათა დეპუტატების არჩევნები. სენაკის რაიონში ახალ რკინის გზაზე ირიცხება 1000-მდე მუშები. თითოეულ 50 მუშამ ამოირჩია თითო დეპუტატი. მუშების შეერთებული კრება იყო 8 მარტს, 9 ს და 10 მარტს. მუშებს მოხსენდა სავსებით მუშათა საბჭოს მნიშვნელობა და მისი როლი დღევანდელ მომენტში. მუშები სიხარულით მიეგებენ ამ დიად ორგანოს. არჩეულ არიან საბჭოს წევრებათ: იას. ნორაკიძე, იას. გეგენავა, გრიგ. რასტორგუევი, ირ. სალაყაია, ან. ხორავა, ლავ. გრიგოლია, ლევ. ოდიშარია, აქვ. ხარბედია, ობოლხინი, თედ. ჭანტურაია, ტისოვი, დათ. ქობალავა (ნოქრებიდან), დომ. ცავა. საბჭომ ამოირჩია თავის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: ბარნაბა ძველაია, ერ. ბესელია, იასონი ნორაკიძე, დათიკო ქობალავა, მუშ. სამ. აღმ. კომიტეტმა სამაზრო კომიტეტში აირჩია დელეგატებათ: ბარნაბა ძველაია, იასონი ნორაკიძე, მუშათა კომიტეტი იკრიბება ყოველ დღე და გამოაქვს მრავალი საყურადღებო დადგენილება, რომელსაც ატარებს თავის წარმომადგენლების სახით სამაზრო კომიტეტში. მუშათა კომიტეტმა დაადგინა დაუყოვნებლივ მოიხსნას ძველი ადმინისტრაცია თავის ღარაჯებით და შესდგეს სახალხო მილიცია. სამაზრო კომიტეტმა ეს წინადადება მიიღო და დღეს სენაკის მთელ მაზრაში დარაჯები და პოლიცია მოხსნილია. საქმეს ასრულებს მილიცია და ჯარი. მ.

**სამეგრელო.** აბობოქრდა სამეგრელოც, თავისუფლების სიომ აქაც დაჰბერა. ღონე მიხდილ-დაუძლურებულ დემოკრატიამ დღეს აქაც ამოისუნთქა თავისუფლათ. დადგა შვება დღეების დღე. ხალხი დიდ აღტაცებაშია. პირველ ხანებში ვერ გამორკვეულა, ნუ თუ ასე იოლათ მოეღო ბოლო საუკუნოებით განაჭედ დესპოტიზმს? ყველგან სარაიონო ცენტრებში შესდგა მიტინგის საორგანიზაციო ბიურო. სარევოლიუციო კომიტეტების სახელით მოწოდებები გამოიცა მიტინგის მოწვევის შესახებ ამა თუ იმ ადგილას.

7 მარტს გაიმართა ორ ალაგას უზარმაზარი მიტინგი, სენაკში და აბაშაში. ორივე მიტინგს აუარებელი ხალხი, კაცი და ქალი დაესწრო. სენაკის მიტინგს დაესწრო 6—7 საზოგადოების მცხოვრებნი, დაესწრო მუშები სენაკის რაიონისა, დაესწრენ ჯარისკაცები და მრავალი სხვ. იყვნენ ტყვე გერმანელებიც, მიტინგმა აირჩია პრეზიდიუმი. პირველათ სიტყვა წარმოსთქვა ა. ანჯაფარიძემ. სიტყვა პოპულიარული, გრძნობიერი და თანამედროვე მომენტის ყოველმხრივი დახასიათება.

სიტყვის ზოგიერთ ადგილებმა ხალხი ატირა, ბევრგან აღელვა და ბევრი მწარე განცდაც გადაუშალა თვალ-წინ. ილაპარაკა მ. ძველაიამ, ს. თურქიამ. ორივემ ხალხს დაუსურათა მუშათა ს. დ. პარტიის წინანწარი რევოლიუციონური მუშაობა და მისი როლი. ცოტ ცოტა მუშაობამ, იაჩეიკური სისტემა მუშაობის დღეს უზარმაზარ რევოლიუციათ მოგვევლინა და ხალხს თავისუფლება მიენიჭა. ილაპარაკა სტ. გ. ჯაკობიამ—ს. ფედ. სახელით. მისი სიტყვა მგრძნობიერი შინაარსისა იყო. მეტათ შინაარსიანი გამოდგა ამხ. დათიკო აჯიაშვილის (ებრაელი) სიტყვა, მან აღნიშნა ძველი მთავრობის ლაშქრ ეროვნებათა ჩაგვრის საქმეში. მას გარდა ილაპარაკა ჯარისკაცთა სახელით აფიცერმა, რომელიც სიხარულით მიეგება ახალს რევოლიუციონურ მთავრობას. ფიცი დასდო ხალხის წინაშე, რომ ჩვენ მზათა ვართ ხალხის გულისთვის სისხლი დავღვაროთო. ილაპარაკა რამოდენიმე ორატორებმა და ბოლოს კრებას მოხსენდა, თუ როგორი მართვა-გამგეობის წესი უნდა დაფუძნდეს დროებით სოფლათ და ყველგან. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია. მიტინგმა სავსებით მიიღო თფილისის მიტინგზე გამოტანილი რეზოლიუცია. არავითარი პარტიული შეხლა შემოხლას აქ ადგილი არა აქვს. მიმდინარეობს მშვიდობრი მუშაობა.

8 მარტს შესდგა თეკლათის საზოგადოების ყრილობა სენაკის თეატრის დარბაზში. კრებას მოხსენდა სასოფლო მართველობის წესი. არჩევნებში ქალებსაც მიეცა ხმის უფლება და წვრილ აზნაურობასაც. აირჩიეს თეკლათის საზოგადოებისათვის სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტში შედის 7 კაცი. შემადგენლობა საუცხოვოა. ამავე კრებამ უკანონოთ აღიარა ძველი ოცისთავების არჩევნები და ამისათვის გადასწყვიტა მისი რეორგანიზაცია. ეს კი შემდეგისათვის გადაიდო. სოფლის აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულია: ბეგ. მიქაძე, ვლ. სალაყაია, ლევ. კიკალიშვილი, ივ. ლომაია, გუჯუ ხარჩილავა, ლ. ლომაია, მღ. ნიკ. ხევცურიანი (როგორც ძველი რევოლიუციონერი). ამ კომიტეტმა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში დროებით, სანამ სოფლებში არჩევნები მოთავდებოდეს, გაგზავნა თავის მხრივ ვლ. სალაყაია, ლევ. კიკალიშვილი, ბეგ. მიქაძე. მ.

**ს. შახტახტი.** (ერევნის გუბერნია). 9 მარტს მოხდა კრება მთელი „შახტახტის“ გარნიზონისა: ჯარისკაცების, რკინის გზის მოსამსახურეების, ფოსტის მოსამსახურეების და თავისუფალ დაქირავებულ მაკუს რკინის გზის მოსამსახურეებისა. ორატორები იყვნენ, როგორც აფიცრებიდან ისე სალდათებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებში მოსამსახურეებიდან, რომლებმაც გააცნეს დამსწრეებს დღევანდელი მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში და გამოთქვეს სურვილი, რომ ყველა როტებიდან იქნეს არჩეული ას კაცზე თითო დეპუტატი, აფიცრებიდან, ყველა ნაწილიდგან თითო კაცი და აგრეთვე ყველა დაწესებულებებიდან თითო დეპუტატი თავის კანდიდატებით, რომლებსაც ეწოდებათ სახელად შახტახტის გარნიზონის ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო. მეორე დღესვე მოხდა ამორჩეულ დეპუტატების კრება, რომელზედაც დაესწრენ როგორც აფიცრებიდან ისე სალდათებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდგან სულ 70 წარმომადგენელი. კრებამ გამოთქვა სურვილი დეპეშის გაგზავნისა პეტროგრადში დროებით აღმასრულებელ კომიტეტის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარესთან, რომელიც კრების მიერ იმ დღესვე იქნა გაგზავნილი ამ შინაარსით: შეერთებული შახტახტის გარნიზონი მოგესალმებით და მზად ვართ დავდვათ თავი და შევსწიროთ ჩვენი ცხოვრება ახალ მთავრობას.

აგრეთვე ჯარისკაცთა მიერ იქნა არჩეული აღმასრულებელი კომისია შვიდი წარმომადგენელისაგან შემდგარი, როგორც აფიცრებიდგან ისე სალდათებიდგან. ყოველ ღამე სავსეა სადგური ჯარისკაცებით. მატარებლის მოსვლას უცდიან, ეგების ვინმე მგზავრმა გაზეთი მოიტანოსო, თორემ აქ გაზეთს იშვიათად შეხვდები, მიუხედავათ იმისა თუ ვინმეს არ აქვს გამოწერილი, მაგრამ გამოწერილ გაზეთის თავის დროზე მიღებაც შეუძლებელია. მთელი კაზარმები და დაწესებულებები წითელი ბაირაღებით არის შემკული.

პრაპორ. დომენტი შარაშიძე.

**სად. საჯევახო.** 15 მარტს, დილიდან აბაშის საზოგადოების ხალხმა დენა იწყო საპატიოთ რევოლიუციის გმირ მსხვერპლების მოსაგონებლად. მოდის დიდი და პატარა, ვინც სახლში იყო. 10 საათამდე სადგურზე აუარებელმა ხალხმა მოუყარა თავი. აფრიალდა წითელი დროშა მეტად მნიშვნელოვან წარწერებით და წავიდნენ სოფელ დაფნარისაკენ, სადაც მუხურუას საზოგადოების ხალხი უნდა შემოერთებოდა. იქ მარსელიოზის სიმღერით სოფ. ორპირის და დაფნარის მცხოვრებნი კაცი და ქალი წითელი დროშით მიესალმა ამათ. ხმა მაღლა გაისმა: „გაუმარჯოს თავისუფლებას!. გაუმარჯოს ახალ მთავრობას!.. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და დემო-

კრ ტიულ რესპუბლიკას!.. დიდება და პატივი რევოლიუციის წმინდა მსხვერპლების ხსოვნას!..“—ამის შემდეგ იქვე დაფნარის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნა პარაკლისი პეტროგრადში დახოცილ გმირ რევოლიუციონერების მოსახსენებლად. წარმოითქვა ათამდე სიტყვა ადგილობრივ ს. დემოკ. ორგანიზაციის წევრებიდან და აგრეთვე ქართველ ნაციონალისტებიდან, ყველა სიტყვები ხალხმა დიდი ყურადღებით მოისმინა.

მიტინგს ხელმძღვანელობდა ადგილობრივი სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტი. სიტყვების დათავებისას ერთხელ კიდევ ხმა მაღლა გაისმა: „გაუმარჯოს ახალ მთავრობას, მომავალ დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ რესპუბლიკას“-ო. ამის შემდეგ გადაწყდა ინახულონ საფლავები დათიკო ამაღლობელის და პეტრე ხაბეიშვილის, რომლებიც შეიწირა 1905 წლის გამანთავისუფლებელ მოძრაობამ. ესენი იყვნენ სამტრედიის სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფში თავგამოდებით მომუშავენი. მათ ამხანაგებმა აღტაცებული ცრემლ ნარევ სიხარულით თავისუფლების დღე მიულოცეს. ასეთი დაპირება გვქონდა მიცემული ამხანაგებს დასაფლავების დღიდან და შევუსრულეთ კიდეც. ასეთ შესრულების დროს მრავალრიცხოვანი დამსწრე ხალხიც ცრემლებს ღვრიდა და ზოგიერთებმა მხოლოდ ამ დღეს იცნო, თუ რაგვარი ძვირფასი მოღვაწენი იყვნენ ისინი. აქვე მოიგონეს სამტრედიის ს. დ. ჯგუფში მომუშავე საუკეთესო ორგანიზატორი ამხ. ყარამან ნანეიშვილი, რომელიც დამსჯელ რაზმმა იმსხვერპლა.

„მელქისედეკ“.

ქ. გორი. აქ დაარსდა მუშათა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. ადგილობრივი გორის აღმასრულებელი კომიტეტი დროებით ხელმძღვანელობას უწევს მთელს მაზრას. ეწყობა სამაზრო კომიტეტიც გლეხთა და სხვა კლასების წარმომადგენლებისაგან. ყოველ დღე იმართება მუშათა საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის კრებები. მთელი გორის მაზრის სოფლებში აჩქარებული ტემპით იმართება საჯარო მიტინგები. მიუხედავათ იმისა, რომ გორის აღმასრულებელმა კომიტეტმა ფურცლები გამოუშვა მთელ მაზრაში გასაგზავნათ მიტინგების წესრიგისა, ცხოვრება ციებ-ცხელებასავით სჩქეფს და ბევრგან თავისით მართავენ მიტინგებს. ამის შესახებ ადგილობრივმა სოც. დემოკრ. კოლექტივმა ცალკე და მუშათა საბჭომ კიდევ ერთხელ გამოიტანა შემდეგი დადგენილობა აღმასრულებელ კომიტეტის სახელმძღვანელოთ.

1. გამოირკვა სოფლებში რევოლიუციის მტრები და ძველი მთავრობის მომხრენიც პირადის ინტერესებით მართვენ მიტინგებს. ამისათვის დაევალოს გორის აღ. კომიტეტს რაც შეიძლება ახლო მომავალში განახორციელოს მუშათა საბჭოს გადაწყვეტილება გორის მაზრაში ფურცლების დაგზავნის შესახებ.

2. მუშათა საბჭომ დაადგინა მიტინგზედ წასული პროპაგანდისტები ხელმძღვანელობდნენ ქალაქ გორის აღმ. კომიტეტის დირექტივებით და გაჰყავდეთ მიტინგებზედ ნება და სურვილი ახალი მთავრობისა; აგრეთვე ემორჩილებოდნენ აღ. კომიტეტის და მუშათა საბჭოს დისციპლინას.

3. მუშათა საბჭომ გამოსთქვა სურვილი, ვინაიდგან ახალი მთავრობის გადაწყვეტილობით უქმდება წოდება, თავად აზნაურობას არ უნდა მიეცეს ხმა როგორც წოდებას.

4. მუშათა საბჭომ დაადგინა გამოიცვალოს ყველა ძველი მოხელეები, რომელნიც ემსახურებოდენ ძველ მთავრობას, როგორც პოლიციის აგრეთვე ფოსტა ტელეგრაფის. ციხესატუსაღოს, ხაზინის და ხარჯთამკრეფ ინსპეკტორების და მის ნაცვლათ დაყენებულ იქმნეს მუშათა საბჭოსგან და ხალხისგან მოწონებული პირნი.

5. დაევალოს აღმას. კომიტეტს, თუ ციხეში მოიპოვებიან პოლიტიკურნი დამნაშავენი დაუყონებლივ განთავისუფლებულ იქმნენ. ამასთანავე კომიტეტს ევალება ყველა ტუსაღებს მოეხსნას ბორკილები.

6. მუშათა საბჭო ავალებს გორის აღმ. კომიტეტს, რაც შეიძლება საჩქაროთ გამოძიებული იქმნას ყოფილი მაზრის უფროსის ხრუსჩევის ბნელი საქმეები და მასთან საქმეში დამოკიდებული პირებისაც; დამნაშავეთა წინააღმდეგ იქმნეს მიღებული ზომები.

7. აგრეთვე ევალება აღმასრულებელ კომ. მიღებულ იქმნეს სასტიკი ზომები ყოველი მუშათა საბჭოს დადგენილობა მსწრაფლათ აღსრულებაში მოყვანილ იქმნეს; ამასთანავე აღმ. კომიტეტის სხდომები უნდა იმართებოდეს სისტემატიურათ ერთ განსაზღრულ ბინაზე და გარკ. დროს.

8. მიეცეს წინადადება ამავე კომიტეტს დაუყონებლივ უშოვოს ბინა მუშათა საბჭოს კრების მოსაწყობათ.

9. მუშათა საბჭო წინადადებას აძლევს აღმასრ. კომიტეტს დაუყონებლივ მოწესრიგებულ იქმნას სასურსათო საკითხი.

10. პროპაგანდისტების გაგზავნის შესახებ, უნდა მოილაპარაკონ მუშათა საბჭომ და აღმასრ. კომიტეტის შეერთებულმა კრებამ.

11. დაევალოს აღმასრულებელ კომიტეტს იქონიეს სია, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა შემადგენლობა, აგრეთვე მუშათა საბჭოსი და ეს სია უნდა გაიკრას ქალაქის თვალსაჩინო ადგილზედ. ამასთანავე აქვე გამოცხადებულ უნდა იქმნეს ბინა და დრო ყოველ დღიური კრებებისა.

შაქრო ჯავახიშვილი.

დ. ყვირილა (შორაპნის მაზრა). ძველი მთავრობის დამხობამ და მის ადგილს ბრწყინვალე თავისუფლების აღმოცენებამ დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ყველგან. მთელი შორაპნის მაზრა ჯერ კიდევ 1905 წ. ცნობილ „ყვირილის რესპუბლიკა“ არაჩვეულებრივი აღტაცებით შეხვდა ახალ მთავრობას და განაკვირალი ენერგიით შეუდგა დროებითი მთავრობის შედგენას დაბებსა და სოფლებში. 8 მარტს უკვე შესდგა დ. ყვირილაში შორაპნის მაზრის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი. დღიდან თავისი დაარსებისა იგი მაშინათვე შეუდგა სადღეისო ლოზუნგების განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა მან მიაქცია ყურადღება წესრიგს, რომელიც უნდა იქნას დაცული როგორც დაბებში, ისე სოფლებში. აკრძალა მთელს დაბაში ღვინით ვაჭრობა; მიმართა საჭირო ზომებს რეაქციის ბოძოლა—„ბნელ ძალების“ და ყაჩაღების ასალაგმათ. დაარსა რევოლიუციონური მილიცია და სხვა. ამრიგათ ახალმა მთავრობამ სულ 4—5 დღეში თავისი ენერგიული და გონიერი მოქმედებით დაიმსახურა საერთო სიმპატია. ხალხი დიდ აღტაცებაშია. აურაცხელი სოფლელი ხალხი მოდიოდა გაეგო საქმის ვითარება და თხოულობდა სოფლებში აღმასრულებელი კომიტეტების დაარსებას. მაგრამ კომიტეტმა გადასწყვიტა დიდი მიტინგის შემდეგ (12 მარტს) გასულიყო სოფლათ სამუშაოთ. და აი 12 მარტიც მოვიდა, დილის 8 საათიდან იწყო ხალხმა დენა შორეულ სოფლებიდან. მთელი დაბა ხალხით გაივსო; ქუჩებში ხალხი არ ეტეოდა. მრავალრიცხოვან მიტინგს ადგილობრივი ჯარიც შეუერთდა წითელი დროშებით და ურას ძახილით, რამაც დიდი აღტაცება და სიხარული გამოიწვია ხალხში. ჯარს თან ახლდათ თავისი ოფიცრები და უფროსები. შუადღის 12 საათზე კრება გახსნა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ გრიგოლ საყვარელიძემ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ილაპარაკა კომიტეტის წევრმა დავით მაჭავარიანმა, რომელმაც მკაფიოთ და სხარტათ გააცნო დამსწრეთ დღევანდელი მომენტი. შემდეგ ლაპარაკობს მუშათა საბჭოს სახელით ერმალოზ კალაძე, რომელმაც მოუწოდა მუშებს შემოიკრიბონ მუშათა საბჭოების გარშემო. ლაპარაკობს სოც.-დემოკრატი ნიკოლოზ ჭუმბურიძე, რომელიც დიდხანს ლაპარაკობს დღევანდელ მომენტზე, საკმაოთ არკვევს მას და აღნიშნავს დამფუძნებელი კრების მოწვევის საჭიროებას; მეფის და მისი გვარეულობის პასუხისგებაში მიცემას; ომისა და ზავის საკითხის თვით ხალხით გადაწყვეტას და სხვ... შემდეგ ტრიბუნაზე ადის ყვირილის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე პროკოფი [illegible]. იგი საკმაოთ არკვევს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დიდ მნიშვნელობას და მოუწოდებს მშრომელ ხალხს შემოიკრიბონ ასეთ ორგანიზაციის გარშემო. ილაპარაკა სხვა ორატორებმაც. პ. იაშვილმა, შეს. კილენჯერიძემ; სოც.-ფედერალისტმა გრ. ლალიძემ საერთოდ ილაპარაკა დაბეჩავებულ ერების უფლებებზე. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ნოე ჩხიკვაძემ, რომელმაც თავისი ოსტატური სიტყვით დიდი ნაწილი საზოგადოებისა აატირა. ნაშუადღევის 4 საათზე ნ. ჭუმბურიძის წინადადებით მთელ მიტინგთან ერთად გამოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: ყვირილის სახალხო მრავალრიცხოვანი კრება ესალმება პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს, რომელმაც თავისი გმირული ბრძოლით დაამხო ძველი წეს-წყობილება და დღესაც განაგრძობს თავისუფლების დაცვას; კრება სალამს უძღვნის რევოლიუციონურ მთავრობას და აღუთქვამს მას დახმარებას რეაქციასთან ბრძოლაში. გადაყენებულ იქმნას ყველგან პოლიცია და გაგზავნილ იქმნას ჟანდარმებთან ერთად პოზიციაზე. დატუსაღებული მეფე და მისი ამალა დარჩეს რუსეთში და გასამართლებული იქმნენ საჯაროთ; მოისპოს ყოველივე უპირატესობა; მოისპოს ეროვნებათა დევნა და შევიწროვება; მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება თანასწორი, ფარული, პირდაპირი და საყოველთაო საარჩევნო უფლებით, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს საბოლოოთ მართვა გამგეობა და გადასჭრას ომის და ზავის საკითხი. ეს ზემოხსენებული რეზოლიუცია გაეგზავნა პეტროგრადში დროებით რევოლიუციონურ მთავრობას—ლვოვს, კერენსკის, როდზიანკოს და ჩხეიძეს. ნიკა.

# პროვინციის ცხოვრება.

რაჭა ლეჩხუმი. თვითმპყრობელობის დაქცევის ამბავი აქეთ გვიან მოვიდა. მხოლოდ ახლა იმართება მიტინგები და ხალხს დღევანდელ ამბებს აცნობენ. ორივე მაზრა დიდათ მოისუსტებს მოწინავე ელემენტებით. არჩევნებს რამდენიმე პირი ხელმძღვანელობს და ამიტომ სამაზრო კომიტეტების შედგენა გვიანდება.

— რაჭა-ლეჩხუმში ქუთაისიდან წამოსული ფედერალისტების რამოდენიმე ჯგუფი დაიარება და თავისს მრწამსს ქადაგობს. ესენი ს. დ. შეთანხმებით მუშაობას უხერხულათ ცნობენ და კრებებს ცალკე იწვევენ. ეს საქმეს ამწვავებს და კრებების ხელახლა მოწვევა გვიხდება.

— რაჭის მაზრის უფროსმა, ქუთაისის პოლიცმეისტრათ ნამყოფმა ტერ-ანტონოვმა უკვე მოასწრო რაჭიდან გაპარვა. გაჩხრიკეს და დაბეჭდეს მისი ბინა. მიწერ-მოწერის ქაღალდებიდან გამოირკვა, რომ იგი მაზრის უფროსობასთან ერთათ მეყველე და ერბოს ვაჭარიც ყოფილა.

— აუარებელი განცხადებები შემოდის მექრთამეთა შაიკაზე. დიდი ნაწილი ჯარის კაცებისა ამ შაიკის წყალობით სახლში ზის. ქონიათ მთელი რიგი ყალბი საბუთებისა.

— ფოშტა უწესრიგოთ დაიარება. ამიტომ ყოველგვარი ცნობები ერთი კვირით მაინც იგვიანებს.

— 17 მარტს ონში დიდი მიტინგი გაიმართა.

# გაზეთის სასარგებლოთ.

ჩვენ ქართველი პოლკის ჯარისკაცები ვუგზავნით მცირე წვლილს მუშათა ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობის“ ფონდს. შემომწირველთა სია: ნესტროვოი როტისაგან 28 მ; 1 როტისაგან 3 მ.; 2 როტისაგან 8 მ. 20 კ.; 3, 4, 5, 6, 7 და 8 როტებისაგან სამ-სამი მანეთი; 15 როტიდან ნ. სალუქვაძემ 5 მან.; 10 როტიდან არსენ ლ—მ 3 მ.; 10 როტიდან ჯახუამ 3 მ. სულ 68 მ. 20 კ.

ამხანაგების მონდობილობით თეიმურაზ ჭელიძე

—

გაზეთ „ჰაიქარის“ ერთი წლის არსებობის გამო შემოწირულება.

შემომწირველთა სია. ხუთ ხუთი მანეთი: ივ. გიუქჩიქორმა (ყოფილი დეპუტატი), ანტ გულაზაროვი (ნაფ. ვექილი), დუნ. გრიგოლია (ნაფ. ვექ. თანაშემწე), ისმ. აგაევმა; სამ სამი მანეთი: გრ. გიორგაძემ (ნაფ. ვექილია), მიხ. ბერძენიშვილმა (ვექილია), სამსონ კილაძემ (ბანკში მომუშავეა), ალ. შარაშიძემ (სამეურ. სკოლის მასწავლებელი). ილია ბახტაძემ, სერგო ქერიშიანცმა; ილ. ფირცხალაიშვილმა 2 მ.; გიორ. მეჩიტიანცმა 1 მ. 50 კ.; თითო მანეთი: ვარ. გორდავაძემ (მასწავლებელია), ნიკ. იმნაიშვილმა (სტუდენტია), კონსტ. ბრეგვაძემ, ბაგრ. სიმონგულიანცმა; ქართველთა ერთი წრიდან 5 მ. 80 კ. სულ 51 მ 30 კ.

შემოწირულების მიმღები თ. თ. მირიანცი.

— —

ქუთაისიდან ამხანაგები ვუძღვნით გულწრფელ სალამს მუშათა კლასის, დაჩაგრულთა ხალხის ინტერესების დამცველ გაზეთს „ერთობას“. ვუსურვებთ რომ მან მედგრათ იბრძოლოს მუშათა მიზნისთვის. ამასთანავე გაგზავნით ჩვენ მცირე შეგროვილ წვლილს ფონდის გასაძლიერებლათ 11 მანეთს და 20 კაპ. ორი მანეთი მარუსია მიხაილოვმა; თითო მანეთი: ფრანც კომურჯოვმა, გიგა გოლიჯოვმა, მარია დ ვიდოვი, სტანისლავ თუმანოვი; ათ ათი შაური: ვანო გურჯიშვილი, ვანო რაზმაძე, ელიჩკა რაზმაძე, ალიოშა რაზმაძე, სონია თუმანოვი, დათიკო გურჯიშვილი, ვანო მკერვალიძე, საშა დავიდოვი, მარუსია ბეროზაშვილმა; ექვს ექვსი შაური: მიშა მკერვალიძემ და ნინა ბეროზაშვილმა.

მონდობილობით ეკატერინე ბეროზაშვილი.

# წერილები რედაქციის მიმართ.

გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „თ. აზრის“ საშვალებით მადლობა გამოუცხადოთ ქართველთა მსროლელ პოლკის მეათე როტის პოდპორუჩიკ მჟაძეს, რომელმაც კეთილ ინება და ამავე პოლკის და როტის ჯარის კაცებს ოცი მანეთი გადმოგვცა, რითაც ჩვენ საშვალება მოგვეცა რამოდენიმე ჟურნალი და გაზეთი გამოგვეწერა.

მეათე როტის ქართვ. მსროლ. პოლკის ამხანაგ-ჯარის კაცების მონდობილობით

ისაკი ჯახუა.

# ცნობები
## ჯარის კაცების შესახებ

ჩვენ ქართველი დაჭრილი ჯარის კაცნი ვსთხოვთ ჩვენს ამხანაგებს და მეგობრებს, მოგვაწოდონ ჩვენი ინტერესების მოტრფიალე მუშათა გაზეთი „ერთობა“.

Терская область, ст. Борятинская, Горячія воды, баракъ В. З. С. № 1 Получитъ Василій Майсурадзе.

რედ.-გამომცემელი ვლ. მ. ხოხობაძე.


ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

გ. გ. მეზრაგიანცი
შინაგან ავათმყოფობა ჭლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყოველნაირ ჭლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისტკივილის, —ტიპით. დიდი სალინოიდი სპეციალური მოლება და არსონვალის ტოკით ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მუცლის ჭირების, სისხლ ნაკლებობის, უძილობის, ნევრალგიისთვის. ზურგის ტვინის ავათმყოფობისათვის, ზუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: ბებუთოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ ი გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. თფილისის ქუჩა: გოკიელოვის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ლ. საათამდე


ქართველ ებრაელთა საზოგადოება აუწყებს ყველა ეროვნების გულშემატკივარ ამხანაგებს, რომ ვერაგულათ მოკლულ

ეფრემ როკეთლიშვილის

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 21 მარტს კრწანისში. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან ნაშუადღევის 2 საათზე.

---

უზომო მწუხარებაში მყოფნი: მამა მაქსიმელ, დედა დავარი, მეუღლე ნინა, შვილები: გრიგოლ, ლიზა და მარგალიტა, ძმები: პლატონ, ისიდორე და ლევან, დები: ალათი და ელისაბედი, რძლები: ანიჩკა და ლიზა ზენაიშვილები, სიძეები: ი. ცერცვაძე და ი. ქანქლაძე, დისწულები: მაშიკო, ვანიჩკა და პუპუკი ცერცვაძე და ქანქლაძე განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს ძვირფასს და დაუვიწყარ

გიორგი მაქსიმელის ძე ზენაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათს, 21 მარტს დილის 9 საათზე დ. ლანჩხუთში.

---

მწუხარებით გულმოკლულნი მამა სილოვან გრიგოლის ძე ნიკოლაიშვილი და დედა თებრონია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას საყვარელი შვილის რეალურ სასწავლებლის მოსწავლის

ვალოდია ნიკოლაიშვილისა

რომელიც მოხდა 18 მარტს ქალ. ქუთაისში, დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

---

ღრმათ დამწუხრებულნი მაქაიმე ანდრიას ძე და მეუღლე სოფიო დიმიტრის ასული კობერ ძენი შვილებით, ანდრია, ვიქტორი და ტერეზია ფადავათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ბელოკლიუჩში პირველთა საყვარელის ასულის და დანარჩენთა ძვირფასი დის პეტრე-პავლეს კომერციულ სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე ქალის

პელაგია მაქსიმეს ასული კობერიძისა.

დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 21 მარტს ბელოკლიუჩში. წირვა მოხდება მეთოთხმეტე ქართველ გრენადერთა პოლკის ეკლესიაში.

---

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე ტასია, შვილები ჩიტო, კარლო და ვალოდია; ძმები ალექსი, იაკინთე და სოლომონ: დები მართა და კესარია; რძალი პატკუ (ნინა); ძმის წულები ვენერა და ელეონორა (კუკნა) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

იაგორ გაბრიელის ძე გოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია 23 მარტს, დღითი ხუთშაბათს, მიქელ-გაბრიელის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე დილის ათ საათზე (გურია).

3—2

---

გულდამწვარი მეუღლე ალათი სტეფანეს ასული თავის ობლად დარჩენილ სამი პაწია შვილებით, დედა, ძმა კიმოთე და ასლანი თავის მეუღლით, ცოლის ძმა ზაქარა ბიჭაშვილი მეუღლით, ქვისლი ლადო აგლაძე მეუღლით გულითადის მწუხარებით აუწყებენ თავიანთ ნაცნობ-ნათესავებს და მეგობრებს

ნესტორ ივანეს ძე ტოროშელიძის

უდროვოთ გარდაცვალებას. პანაშვიდი დინიშნულია დღეს, 18 მარტს მიცვალებულის სახლში 4 ნახ. საღამოთი. დაკრძალვა მოხდება კვირას, 19 მარტს, წირვის შემდეგ ნაძალადევის ეკლესიიდან გასვენებული იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

2—2


ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა 20 მარტიდან.
ორშაბათი. საღამო გრიშაშვილისა.
სამშაბათი. ქართული წარმოდგენა.
ოთხშაბათი. პროფესორი რიადნოვის საღამო.
ხუთშაბათი. ოპერეტა ბენეფისი მირაგვისა.
დასაწყისი: კონცერტებისა სალ. 9 საათზე.
წარმოდგენისა „ 8 ნახ. საათ.
სინემატოგრაფისა „ 8 ნახ. „
სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები—1 მ., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კ.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. №6, ს.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები „ანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, ჟურნ. „განათლება“, „ქართველი ქალი“, „ორიზონი“, „პაიქარი“, რუსული ჟურნალი „დელო“ და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ.